

**იოსებ იმედაშვილი და
ქართული თეატრი**
IOSEB IMEDASHVILI AND THEATRE

ნინო დანელია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Nino Danelia

Georgian Technical University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

In Georgia as well as all over the world, the late 19th and early 20th century proved to be crucial for further development of the society. It was during this period that social issues have become a focus of particular interest and young writers entered to the literary scene, who had already been brought up in the intellectual atmosphere created by the generation of the “Tergdaleulis”. Most of them later worked in Soviet Georgia and, in fact, created the 20th century Georgian literature.

With his diverse activities and interesting work, Ioseb Imedashvili is distinguished among Georgian writers working at the turn of the 19th and 20th centuries. He also committed himself diligently to the service of the Georgian theatre to help it thrive. Ioseb Imedashvili was connected to the theatre since his youth as a director, actor, and playwright. He wrote novels, poems, poetry, and publicist letters.

When studying the history of the development of the Georgian society, Ioseb Imedashvili appears to be a very interesting figure. His multifaceted work clearly shows that he accepted all of the challenges of his era at the right time and tried to devote full potential to the Georgian culture.

One of the important tasks in the history of Georgian journalism has been and still is the development of a consistent view of such an interesting representative of Georgian public awareness as Ioseb Imedashvili.

The more we examine the work of the writer, the more we become convinced that Imedashvili’s creative materials allow us to determine the central attitude, specificity, while exploring several problems. We are dealing with a rather interesting publicist and, at the same time, a civil rights advocate.

In order to shed light on the socio-cultural dynamics of the modern spiritual life, it is of some interest to get acquainted with and evaluate the publicist processes of some writers in terms of problems of vital importance from the point of view of their contemporaries.

Ioseb Imedashvili’s work and creative heritage have not been monographically studied, therefore, in a certain way, our scholarly work will expand the various types of sources that are available about this interesting author.

The articles on Ioseb Imedashvili written by Leri Alimonaki, Tamar Gomarteli and others are of great interest. Nevertheless, there are some issues that have not been the subject of specific research so far. At the same time, certain views expressed in connection with Ioseb Imedashvili's work need to be clarified and critically reconsidered, which is necessary in order to clearly understand the significance of his work.

საკვანძო სიტყვები: ქართული თეატრი, ქართული პუბლიცისტიკა, ოსებ იმედაშვილი.

Keywords: Georgian theatre, Georgian publicism, Ioseb Imedashvili.

შესავალი

ოსებ იმედაშვილი უბრალო, მშრომელი ხალხის განათლების აუცილებლობას კარგად გრძნობდა და სწორედ ამიტომ ყველაფერს აკეთებდა, რომ ხელი შეეწყო მისი წინსვლისთვის. XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებს იგი განსაკუთრებით აფასებდა და, რაც მთავარია, უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან და ა. შ. ოსების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელიც შეიძლება ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის თავისებურ მოკავშირედ მივიჩნიოთ. ზაქარიას მეშვეობით ოსები წიგნებით ვაჭრობის საქმეში ჩაება და საერთოდ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება დაიწყო.

ხალხში დემოკრატიული ღირებულებების დანერგვისა და გავრცელების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიჩნეულია თეატრი. ცნობილია, რომ ქართულ თეატრს მართლაც ძველი და საინტერესო ისტორია აქვს. თეატრის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხალხის ფართო მასების განათლებასა და თვით ქართული ენის დაცვასა და განვითარებაში განსაკუთრებით აფასებდნენ ქართველი 60-იანელები.

ძირითადი ნაწილი

1879 წელს დაარსდა „ქართული დრამატული საზოგადოება“. საყურადღებოა, რომ საზოგადოების წესდება შეადგინა ნიკო ნიკოლაძემ. აკაკი წერეთელი ქართული თეატრის თაობაზე წერდა: „...მხოლოდ ერთადერთი ასპარეზი დაგვრჩენია - თეატრი, საიდანაც შეგვიძლია გავიგონოთ ჩვენი დედა ენა; ...ჩვენ ამ თეატრის წყალობით შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი წარსული, დავინახოთ აწმყო და წარმოვიდგინოთ მომავალი. აი, რას ფიქრობს ქართული ტრუპა“ (წერეთელი 1880: 16).

თავისთავად ცხადია, რომ ოსებ იმედაშვილსა და მის თანამოაზრეებს, ახალგაზრდა მუშა-ხელოსნებს, რომლებიც თვითგანვითარებით ცდილობდნენ აემალეობინათ ინტელექტი, თეატრი მართლაც საოცარ დამხმარედ ესახებოდათ უბრალო ხალხის გათვითცნობიერებაში.

იოსებ იმედაშვილი თავის მოგონებებში განსაკუთრებით აღნიშნავს უბრალო ხალხისთვის - ხელოსნებისა და მუშებისთვის თეატრის დაარსების აუცილებლობას. მისი აზრით, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში აშკარად იგრძნობოდა ისეთი თეატრის გახსნის აუცილებლობა, რომელიც ქალაქის მუშათა უბნების ბინადრებს მოემსახურებოდა. ამასთან, იოსებ იმედაშვილს მიაჩნდა, რომ ამ თეატრისათვის განსაკუთრებული რეპერტუარი უნდა შექმნილიყო. მან სახელოსნო სკოლის მოსწავლეებთან ერთად შექმნა „სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა“, რომელიც უბრალო ხალხისთვის უფასო წარმოდგენებს მართავდა.

იოსებ იმედაშვილის აზრით, სწორედ „სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობამ“ დაუდო საფუძველი თბილისში XIX საუკუნის 90-იან წლებში მუშათა თეატრის დაარსებას.

მუშათა თეატრმა მაყურებელს პირველ წარმოდგენად აქსენტი ცაგარლის პოპულარული პიესა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ შესთავაზა. 1893 წლის სექტემბერში ამ წარმოდგენით დაიწყო მუშათა თეატრის ისტორია. 1895 წლის 22 ოქტომბერს ქართულმა საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა მხცოვანი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის - რაფიელ ერისთავის იუბილე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველ მწერალს იუბილე გადაუხადეს. რაფიელ ერისთავის იუბილე ფაქტობრივად ქართველი ხალხის ერთიანობის მანიფესტაციად გადაიქცა.

„სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობამ“ - მუშათა თეატრის დასმა, სწორედ 1895 წლის 22 ოქტომბრის 4 საათზე „ავჭალის აუდიტორიაში“ წარმოადგინა რაფიელ ერისთავის პიესა „ადვოკატები“, რითაც ღირსეულად გამოეხმაურა მწერლის იუბილეს.

მუშათა თეატრის მიერ რაფიელ ერისთავის პიესის დადგამს საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. იოსებ იმედაშვილმა ამ წარმოდგენასთან დაკავშირებით გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც დღეს იმ პერიოდის კულტურული ცხოვრების მატრიანის ერთ პატარა ფურცლად შეიძლება ჩაითვალოს.

იოსებ იმედაშვილი გაზეთის საშუალებით მადლობას უხდის სპექტაკლში მონაწილე ახალგაზრდა ქალებს, ძირითადად მასწავლებლებს, რომლებიც მუშა მსახიობებთან ერთად შესანიშნავად ასრულებდნენ შესაბამის როლებს. ავტორი აღნიშნავდა: „ჩვენ ახალგაზრდა ხელოვანებს აზრად გვაქვს წარმოვადგინოთ სახალხო პიესები, ჩავუნერგოთ ხალხს სიყვარული თეატრისა და დავანახოთ თავისი კარგის და ავის მხარეებით, გავართოთ და ამით ავაცილოთ ყავახანებს, სამიკიტნოებსა და სხვა ადგილებს, სადაც იხარჯება იმათი კვირით-კვირობამდის აღებული ჯამაგირი, ცოტათ თუ ბევრად დავივიწყოთ ცუდი ზნე-ჩვეულებანი, რასაკვირველია, წარმოდგენების შემწეობით“ (იმედაშვილი 1895: 5).

XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ქართულმა პერიოდულმა პრესამ რეგულარულად დაიწყო წერილების ბეჭდვა მუშათა თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლებისა და მოყვარული მსახიობების მიერ როლების შესრულების შესახებ.

ასეთი განჭვრეტით ჩამოყალიბდა იმედაშვილის განზრახვაში სალიტერატურო-თეატრალური ყოველკვირეული ჟურნალის დაარსება. იოსებ იმედაშვილმა ახალი ჟურნალისთვის თავად შეარჩია სახელი „თეატრი და ცხოვრება“. ამ სათაურში აისახა მისი შინაგანი სამყაროს მთელი შინაარსი, მას ხომ ყოველთვის აინტერესებდა თეატრი და შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების მართლაც შუაგულში ტრიალებდა.

იოსებ იმედაშვილის, როგორც რედაქტორ-გამომცემლისა და პუბლიცისტის, მოღვაწეობა ნათლად აისახა ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ ფურცლებზე, რომელიც დღეს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების საინტერესო მატიანეს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ „თეატრი და ცხოვრების“ გამოსვლასთან დაკავშირებით ვასო აბაშიძეს იოსებ იმედაშვილისათვის უთქვამს: „ქაჯან, ძალიან კარგია, მაგრამ მე, ვ. გუნიამ და ნებიერიძემ ჩემი „თეატრი“ ვერ ვაწარმოეთ, - შენ რას შეძლებო. ამ სიტყვებმა ისე გამაგულისა, რომ ყოველს ღონისძიებით ვეცადე ჟურნალის შინაარსის გაუმჯობესება და ლამაზად გამოცემა“ (იმედაშვილი 1978: 168).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველა გარემოების გათვალისწინებით იოსებ იმედაშვილმა მოქალაქეობრივი გმირობა ჩაიდინა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემით. იგი 1910-1926 წლებში იყო ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი. მართალია, ობიექტური მიზეზების გამო რამდენჯერმე შეწყდა „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემა, მაგრამ იოსებ იმედაშვილის შრომისმოყვარეობითა და თავდადებით ყოველთვის ხერხდებოდა ჟურნალის აღდგენა.

1910 წლის 2 იანვარს გამოსულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ პირველ ნომერში დაბეჭდილი იოსებ იმედაშვილის მოწინავე წერილი „სალამი შენდა“ დღესაც გარკვეულ ინტერესს იწვევს. მასში ავტორი ფაქტობრივად ეპოქისთვის დამახასიათებელ შეფასებას აძლევს თეატრს, როგორც საზოგადოების განათლებისა და განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას. იოსებ იმედაშვილი წერდა: „ჩვენის გამოცემის სათაური თვითონვე ღაღადებს, რა უნდა იყოს მისი საგანი - თეატრი და ცხოვრება!...“

ხელოვნებას სამშობლო არ აქვს, მთელი ქვეყანაა მისი აკვანი, ყველასათვის ერთია და ყოველთა შემაკავშირებელი...

ამიტომ ჩვენი ჟურნალის მიზანიც იქნება საერთოდ ადამიანთა საკეთილდღეო მუშაობა: ჭეშმარიტების გაშუქება და უკეთურების დათრგუნვა...

რომელიმე განკერძოებული პარტია, წოდება ამ შემთხვევაში ჩვენთვის არ არსებობს“ (იმედაშვილი 1910: 3).

იოსებ იმედაშვილი მკითხველს გასაგები, მაგრამ ამავე დროს მხატვრული ენით ესაუბრება: „თეატრია მსოფლიოს სულის გამომსახველი და მასთან ყოველი ერის, ყოველი ტომის, ყოველი პიროვნების განკერძოებული თვისების აღმნიშვნელი - ის ემბაზი, რომელშიაც სულით, გულით, რწმენით, მისწრაფება-მიმართულებით ინათლება ყოველი მაყურებელი,

ყოველი ადამიანი, რა ერისა, რა სარწმუნოებისა და ყოფა-მდგომარეობისაც უნდა იყოს“ (იმედაშვილი 1910: 3).

დასკვნა: როგორც ვხედავთ, იოსებ იმედაშვილი თეატრს ხალხის მასებში კულტურისა და განათლების ერთ-ერთ ძირითად შემტანად განიხილავდა.

იოსებ იმედაშვილი ქართველი გლეხის ტრადიციულ ოჯახსა და უბრალო ხელოსნებს შორის აღზრდილი ადამიანი, მხატვრული ლიტერატურითა და თეატრალური ხელოვნებით დაინტერესების გამო თანდათან ახალი თაობის ინტელიგენტად ჩამოყალიბდა.

იოსებ იმედაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობის ერთ-ერთ აშკარა გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ დაარსებული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ამ ჟურნალმა დიდი როლი ითამაშა ქართული ჟურნალისტიკისა და მკითხველი საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში.

იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით გამოცემული უამრავი მასალა რეალურად ხელს უწყობდა ქართულ საზოგადოებაში ეროვნული შეგნების ამადლებას და ამასთან, მასში მიმდინარე სოციალურ ცვლილებებსაც ასახავდა.

იოსებ იმედაშვილი იყო ერთ-ერთი იმ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელიც დაუსრულებლად იღვწოდა ქვეყნისა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

იმედაშვილი 1910: იმედაშვილი ი., სალამი შენდა. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. 1910, №1.

იმედაშვილი 1978: იმედაშვილი ი., ჩემი ცხოვრების წიგნი. თბილისი, 1978.

იმედაშვილი 1984: იმედაშვილი გ., იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზაზე. თბილისი, 1984.

იმედაშვილი 1895: იმედაშვილი ი. გაზეთი „ივერია“. 1895, №230.

წერეთელი 1880: წერეთელი ა., ქართული თეატრი. გაზეთი „დროება“. 1880, №208.